

# „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს

## აღმასრულებელ დირექტორს ქ-ნ ე. გიგაურს

ქ. ზუგდიდის რუსთაველის ქ. №182-ში მცხოვრები მოქალაქე შოთა ბიგვაგას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ქალბატონო ეკა,

ცნობილია, რომ თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია სწავლობს საკითხს, რომელიც შეეხება 2009 წლიდან ევრეთწოდებული „ლაზიკის“ მშენებლობისათვის ზუგდიდის რაიონში და კერძოდ სოფელ ანაკლიაში მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მასიურ ჩამორთმევას, მე მაშინ ვმუშაობდი საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილედ. თუ რა წინაპირობები უძღოდა მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის პროცესებს მოკლედ გეტყვით, რომ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის პროცესს ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის მაშინდელი რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ზაზა გოროზია, რომელმაც ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურისაგან მოითხოვა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დამადასტურებელი საარქივო მასალების განადგურება და რეფორმით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების გაუქმების რეგისტრაცია, მისი განცხადებით ეს დაგალება მას მიღებული ქონდა ზემდგომიდან და საკითხი შეთანხმებული იყო იუსტიციის მაშინდელი მინისტრის მოადგილესთან ჯამბულ ებანოიძესთან, რომელიც კურირებდა ამ დარგს და საჯარო რეესტრის თავმჯდომარესთან სერგო წიქარიშვილთან.

პრეზიდენტის რწმუნებულის ამ მოთხოვნაზე ჩვენი პასუხი იყო უარყოფითი, მოწოდება კი კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედება. რწმუნებული ჩვენმა ასეთმა პასუხმა ძალიან გააღიზიანა და განიზრახა სამსახურის უფროსისა და უფროსის მოადგილის თავიდან მოშორება, რაზეც დაუკავშირდა საჯარო რეესტრის თავმჯდომარეს სერგო წიქარიშვილს. ამ უკანასკნელმა სამსახურის უფროსისა და მოადგილის ერთროულად განთავისუფლების გამო ხმაურისაგან თავის ასარიდებლად განიზრახა სამსახურეობრივი შემოწმების ჩატარება, შესაძლო დარღვევების აღმოსაჩენად და სასწრაფო წესით 2009 წლის 28 ოქტომბერის №822/ს და №823/ს ბრძანებების საფუძველზე გამოგზავნა შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომლები. შემოწმების მიმდინარეობის პროცესში დარღვევების სიმწირის გამო თავმჯდომარე იძულებული გახდა მიეღო მკვეთრი გადაწყვეტილება, გამოიყენა შრომის კოდექსით დამსაქმებელზე მინიჭებული „დრაკონული“ უფლება და სამსახურეობრივი შემოწმების მიმდინარეობისას ყოველგვარი ქონების ინვენტარიზაციის, საარქივო დოკუმენტაციის გადაბარების და სამსახურეობრივი შემოწმების აქტის შედგენის გარეშე 9 ნოემბერს №1754/კ და №1755/კ ბრძანებებით შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როგორც სამსახურის უფროსი, ასე მისი მოადგილე გაგვანთავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან. პირდაპირი გაგებით საარქივო დოკუმენტაციის განადგურების მიზნით სასწრაფო წესით გამოგვყარა შენობიდან, რის შემდეგაც სააგენტოდან დამატებით მოავლინა თანამშრომლები, რომლებიც მთელი ერთი თვის განმავლობაში მატერიალური პასუხისმგებელი პირების თანდასწრების გარეშე ახორციელებდნენ დოკუმენტაციის დამუშავებას. ერთი თვის შემდეგ ზაზა გოროზიას რეკომენდაციით სამსახურის უფროსად გადმოიყვანეს წალენჯიხის სამსახურის უფროსი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი კახაბერ ჯოლოხავა, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის სხვა აქტივისტებთან ერთად პირნათლად გააგრძელა ზაზა გოროზიას, ჯამბულ ებანოიძის და სერგო წიქარიშვილის დავალება საარქივო დოკუმენტაციის განადგურებისა და მიწის მესაკუთრეებზე საკუთრების უფლებების ჩამორთმევის საქმეში.

მოგეხსენებათ, რომ დროის ის პერიოდი გახლდათ პერიოდი, როცა საკუთარი დარღვეული უფლებების თუნდაც სიტყვიერად გამოხატვაც სასტიკად ისჯებოდა ნაციონალური მოძრაობის მიერ [დაპატიმრების ჩათვლითაც კი, მითუმეტეს ზუგდიდის სინამდვილეში]. მიუხედავად ამისა შელახული უფლებების აღდგენის, საჯარო რეესტრის თავმჯდომარის 2009 წლის 9 ნოემბრის №1755/კ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით მივმართე ჯერ თბილისის საქალაქო, ხოლო შემდგომ სააპელაციო სასამართლოს, მაგრამ არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა. ნიშანდობლივია, რომ საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა მოსამართლეებზე ზეწოლის მიზნით, ორივე დონის სასამართლოს სხდომაზე მოურიდებლად გააკეთა განცხადება, რომ ჩვენი განთავისუფლების ინიციატორები იყვნენ იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული ზაზა გოროზია.

ამის შემდეგ მივმართე უზენაეს სასამართლოს იმ იმედით, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მოსამართლე თ. თოდრიას თავმჯდომარეობით 2010 წლის 28 აპრილს განიხილული ქონდა ჩემი საქმის ანალოგიური საქმე №ას-864-1150-09, რომელმაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა.

ჩემი საკასაციო საჩივარის შემთხვევაში კი უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა სხვა სტანდარტებით, მოსამართლე ვასილ როინიშვილის თავმჯდომარეობით 2011 წლის 21 იანვარს განიხილა ჩემი საკასაციო საჩივარი №ას-1153-1030-10, რომელიც დაუშვებლად ცნო და დატოვა განუხილველად.

პატივისცემით,

განმცხადებელი:

ტელ. 595 76 23 60



შოთა ბიგვავა

26. 10. 2012 წელი